



კ ვ ი რ ა . 9 მ ა ი ს ი 1910 წ .



მომღერალი მ. ი. ნანობაშვილი



# № 10

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. თიფლისი. Редакция «Театри და Цховრება»  
Иос. Зах. Имедашвили

## 9 მაისი, 1910 წ.

**ქართული თეატრის განახლება.** ქართულმა თეატრმა უკვე რის განახლება. ფესვები გაიღვა ხალხში, ხშირად იმართება წარმოდგენები თბილისისა და ქუთაისის გარდა სხვა დაბა-სოფლებშიაც... შორს არაა ის დროც, როცა თეატრი ხალხის სულიერ მოთხოვნილებად გარდიქცევა... და რომ ამ მიზანს მივაღწიოთ, თეატრის მნიშვნელობა თვითონ ჩვენვე უნდა გავაფართოვოთ... თუ გვესურს თეატრის ისე უყურებდენ, როგორც „ტაძარსა წმიდას“, სულისა და გულის განმასხვებელს სამლოცველოს, თვითონ სცენის მსახურთ წმიდათ უნდა დავიკათოთ თეატრის მნიშვნელობა და ასპარეზი...

ადამიანის სული მზარდ ეამს უმაღლესის ძიებაშია, იგი თხოულობს ახალსა და ლამაზს ზე-აღმაღაც სახრდოს და როცა თეატრი ადამიანის სულიერი მოთხოვნილების ამ მზარეს არ აკმაყოფილებს,—რასაკვირველია, თავის პირდაპირ გზას სცილდება, მნიშვნელობას კარგავს!..

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქართული წარმოდგენების მართვამ იმატა,—ვინ არ განდღა „არტისტობას“, წარმოდგენებს მართავს...

მაგრამ წარმოდგენათა სიმრავლე არ ნიშნავს მათს ღირსებასა და ამ გარემოებას ყოველთვის არა სასურველი შედეგი მოსდევს...

ქართ. დრამ. სახ. გამეგობამ, ახლად მოწვეულმა რეჟისორებმა და დასმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ სასცენო ხელოვნების განვითარება-განსხვებულებას...

თბილისის ქართული თეატრი უნდა იყოს

**შინაარსი:** ქართული თეატრის განახლება; მეზობლური ურთიერთობა—მუთაჟური; უკვდავება—ნ. ღონთქაფუანძის; ფარვან—გ. ტაძარსა; ახალგაზდა მსახიობთა საყურადღებოდ—ტ. სლავინას; ა. შანშიაშვილს—ვაკან ფშაველას; დასავლეთ ევროპიულ მოდერნიზმის ძირითადი მოტივები—ზ. დავძის; მხვარე—ი. შველიშვილი; ს; ერთხელ მაინც—გ. ფოცხველი; მდინარე—მამქადას; მტარვალის ბედი დრამა—ს. გლახაშვილას; შავო ფიქრებო—ამქადა ქადას; დრამ. მოღ. ასპარეზი—ზ. ჭაჭანძის; და სხ.

კილოს მიმცემი, უკეთესი მაგალითის აჩვენებელსასცენო ხელოვნების აკადემია, უმაღლესი სასწავლებელი... კადნიერებაში ნურავინ ჩამოგვართმევს და როგორც მოსკოვის სამხატვრო თეატრია თანამედროვე სასცენო ხელოვნების ტონის მიმცემი, წასაბაძავი, აგრეთვე უნდა იყოს თბილისის ქართული თეატრიც.

თიღა, ქართულმა თეატრმა ძველი მტვერი უნდა გადინერტყოს, ახალ გზას დაადგეს, ახალი სხივი შემოაშუქოს ჩვენის სათეატრო ხელოვნების ისტორიაში და იგი მხოლოდ ამ გზით თუ გაუწევს უკვდავს სამსახურს როგორც კერძოდ ჩვენს ეროვნულ სცენას, აგრედვე საზოგადოდ ხელოვნებას...

**მეზობლური ჩვენის საზოგადოებრივი ურთიერთობა.** ცხოვრება მარწუხებითაა შეხუთული, ჰაერი მოშამულია, თავისუფალი აზრი ფრთა-შეკვეცილი...

მტარვალი გამარჯვებას დღესასწაულობს, პიროსის გამარჯვებით დაზნედილი ირგვლივ ყოველივეს ანადგურებს...

ჩვეულებრივი ადამიანი არარად ქმნილან და თითქო ვერც-ი მიშხვადარან—რისთვის ცხოვრობენ?..

ყოცხლები მკვდრებს დამსვაცებთან და მკვდრები იშვებენ, რომ მალე მოშორდენ სინამდიღელს...

აი, რა ფიქრები აღეძვრის ჩვენის დროის მოაზრე ადამიანს...

მაგრამ არის ერთი სამეფო აზრისა, სხივ-მოსილი, ნათელი სამფლობელო ზე-ცხოვრებისა, სადაც ყოველი ურვა, მწუხარება,





სნება-მოსილი სინამდვილე თითქო ერთს წუთით ჰკრება, საყოველღეო სურათი თვალთაგან იკარგება და უკვდავი, საეტარო გრძნობით განმსჯელები...

სწორედ ამ გრძნობამ შეგვიპყრო წ მისის არტ. თეატრში გედევანოვის იუბილეზე შეკრებილ საზოგადოებას რომ დავხედეთ...

ქართველი და სომეხი, ერთის გრძნობით გამსჯეალული, ერთის აზრით აღფრთოვანებული მუნ შეკრებილიყო...

ყველას სიტყვას, ყოველ მილოცვას, ყოველი კაცის — მოზარდისა და მოხუკის — ტელეგრამასა თუ წერილში მხოლოდ ერთი აზრი იყო წითელი ზოლივით თავიდან ბოლომდე გატარებული — ქართველ-სომეხთა გაერთიანების იდეა...

და ამ იდეას მატარებელთა შორის აღმოჩნწ მისის იუბილიარი გედევანოვი.

წუ თუ მწარე ბედის დაცინვა არ არის, რომ ჩვენ — ქართველთა და სომეხთ, — მთელის საუკუნოებით ურთიერთის მეზობლად მცხოვრებთ, გაცილებით უკედ ვიცით ცხრა მთას იქით მცხოვრებელთა ყოფა-ვითარება, ხოლო ერთმანეთის ავ-კარგზე წარმოდგენა-კი არა გვაქვს?!

ამას, რასაკვირველია, სხვა ღრმა მიზეზებიც აქვს — პოლიტიკური და ეკონომიური, მაგრამ რაც უნდა მიზეზი გვიღობავდეს გზას ურთი-ერთის დაახლოვებაში, მაინც ყოველივე დაბრკოლება უნდა გადაილახოს და ხელი შევეწყობთ საქმით იმ აზრის განმტკიცებას, რაიცა მხოლოდ ძლიერ მცირე ნაწილის მი-სწრაფებაა...

თეატრი და მწიგნობრობა, მწიგნობრობა და თეატრი, — აი ის გზანი რომელთა საშუალებითაც ჩვენ აღთქმულ ქვეყანას ჩქარის ნაბიჯით დავუახლოვდებით...

ურთი-ერთის უკედ გაცნობა, ურთიერთის სულიერი ავლადიდების გათვალისწინება შესაძლებელ-ჰყოფს ცხოვრებას უფრო ფიზიკლად შევხედოთ და რადენადაც უფრო მწვავეა ჩვენი ეკონომიურ-ტერიტორიალური ურთიერთობა, იმდენად მონდომებით უნდა ვესწრაფებოდეთ ჟამთა ავითარებისაგან ორ მეზობელ ერთა შორის გათხრილი უფსკრულის ამოვსებას, სამტროდ აღმართულ კედლების

დანგრევასა და ძმობა-ერთობის ხილის დებას...

ქართველ-სომეხთა საზოგადოებაში და ხალხმა ძვალ-რბილში უნდა გაითქვიფოს, რომ „ცხვირი პირს არ მოშორდება“, რომ ისტორიამ გვარგუნა ერთმანეთის განუწყრელი შეზობლობა. საერთო სამშობლო და, მასსატანე, ერთმანერთის გაგებასაც უნდა დავუქაჩინეთ...

ამ მიმართულებას უკვე ძლიერი პიონერები ჰყავს...

ამის მონატრე იყო და არის ყოველი პატრიონის ადამიანი, ყოველი შეგნებულო ქართველი... ამ იდეის გავრცელებას უნდა შეუდგის — თუ არ შესდგომია — მოზარდი თაობა!..

ქართულისა და სომხური სცენის მეღობამენამ ერთ ადგილას უნდა დაიდვას ბინა, ერთი ტაძარი აღიჩრიოს მსხვერპლის შესაწირავად... ამას მოჰყვება საზოგადოებრივი თვითშეგნების გაფართოებაც...

აი, რა მზრივ გვაამებს გედევანოვისა და მის მსგავსთა მუშაობა მწიგნობრობასა თუ სცენაზე...



# ფარგანა

ნათელს ადგუნებულს,  
სხვაით ანთებულს,  
შეუფრადებულს,  
ჩემო ფარგანავ, თავზე კვლები...  
მჯრამ ვინ იცის,  
რადის დაწევის  
გზნება შენის ფრთას --  
სნათელასნ რამ თრისა...  
რადის მოყვლება, ან სად გაჰქრება?

\* \*

მუსავ, შენგ სულათ,  
ფრთა-განწარულათ,  
ნეტარ ჩურჩულათ  
ხელაფრებისს უდამა ტაძარს,  
მჯრამ ვინ იცის,  
ტანჯვა სად გინდას,  
რადის, ან რასთავის  
სამსადას ძიწრის  
გვლებს გვარგანის მოგაძღვნის სხაზრს?



## უკვდავება

მთის თხემიდან ადამიანი დაბლა-დაბლა მოდიოდა. თმა-გაწეწილი იყო, ფეხ-შიშველი, ავადმყოფი; მაინც უხაროდა, რომ მწვერვალის ნისლსა და ბურუსს განშორდა და ამაყად ადგამდა ფეხს; სიამოვნებით უყურებდა განათებულს, ცოცხალს სოფელ-ქვეყანას.

ღმერთი აღმართ-აღმართ მიდიოდა. მხარზე გადადებული მოსასხამი მხოლოდ ზოგიერთ ადგალს უმაღლავდა. მარმარილოსგან გამოქანდაკებულს უფავდა სხეული. თავზე გვირგვინი ედგა.

ბილიკზე ერთმანერთს შეხედენ ადამიანი და ღმერთი.

— ქეშმარიტების საღარო ხარ და თავანსა გცემ; მშვენიერი ხარ და მიყვარხარ; უძლეველი ხარ და მშურს, მაგრამ მეცოდები თანაც.

— როგორ თუ გეცოდები?!

— დაიხ, მეცოდები; შენ ყოველისფერს ჰხედავ და მეცოდები; შენ უკვდავი ხარ და მეცოდები. რაც უნდა მოგაბეზროს თავი საგანმა მაინც შეხედავ, რაც უნდა გეზიზღებოდეს, თვალს ვერ მოაშორებ—მეცოდები! ეს კიდევ არაფერი. უდიდესი ჩემი უბედურება

ვერ შეედრება შენს აუტანელს მდგომარეობას: რაც უნდა შეგძულდეს თავი, შეგეზიზღოს თავი, რაც უნდა ისურვო გაჰქრე, მოისპო—არ შეგიძლია. შენ უკვდავი ხარ! მეცოდები უფალო: ჩემს უმწვერვალეს ტანჯვაშიაც კი შენი ბედი მანუეშებს—შენ ჩემზე უბედური ხარ. ქეშმარიტად, უფალო, მეცოდები. რომ შეიძლებოდეს, მაინც არ გაგიცვლიდი ბედს.

ღმერთს ეწყინა, აღმაცერბდ. შეხედა ადამიანს და აღმართ-აღმართ წავიდა.

ადამიანი-კი დაეშვა დაღმართ-დაღმართ.

ნ. ლორთქიფანიძე

## ახალგამდა მსახიობთა საყურადღებოდ

(ტ. სალინის წერილი ჟურნალ „The Centur Madarine“ დაბეჭდილი)

თქვენთვის აუცილებლად საჭიროა კლასიკების შესწავლა. ჰომიროსი, დანტე, შექსპირი, მილტონი, ჰიუგო და სხვანი თავის მადლიანის პოეზიით ამაღლებენ გონებას და სმენას აჩვენენ სიტყვიერების მშვენიერებას,

ვისაც ლექსის კითხვა შეუძლია ბუნებრივად და გრძობიერად, ის პროზასაც გრძობიერად და სინამდვილით გაღმობვეცემს.

რაკი საფუძვლიანად გაცანით პიესას, რომელშიაც მონაწილეობას იღებთ, —სანამ როლის შესწავლას შეუდგებოდეთ, ბევრჯერ უნდა გადაიკითხოთ იგი თავიდან ბოლომდე ისე, რომ არ გაჩერდეთ არც ერთს სურათზე, არც ერთ სიტყვაზე. მაშინ თქვენ-მიერ გასაპიროვნებელ გმირის მთლიანი სახე თვალწინ დაგიდგებათ და შეუმტლარათ შეამჩნევთ მის როლის ეფექტიურ ადგილებს. ნუ დაიხარებთ როლის გადაკითხვას, რაც უნდა მოსაწყენი იყოს იგი. მხოლოდ ამ გზით დასძლეეთ თქვენს როლს იმდენად, რომ არც ერთი სიტყვა თქვენის გმირისა არ დაგჩრეთ გაუგებარი და შეუგნებელი, და ისე შეეთვისებით და დაიხსომებთ, თითქოს თქვენ თვითონ შეგიქმნიათ იგი.

ავარჯიშეთ თქვენი ხმა და ყურადღება მიაქციეთ, რომ იგი იყოს წყრილია, მოქნილი, საამუროთ სასმენი. თქვენი როლი ხმამაღლა ისწავლეთ. მაშინ თქვენთვის ძნელი არ იქნება



შეატყოთ შესაფერი გამოთქმა გაქვთ თუ არა. ყურადღება მიაქციეთ თქვენ მიმოხვრასაც. გაუბეღავი მოძრაობა არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს, ყოველი მოძრაობა განსაზღვრული და მკაფიო უნდა იყოს.

სცენაზე გამოსვლა ბევრს ადვილი ჰგონია. მაგრამ ეს ღრმა შეცდომაა. ყოველ ხელოვნების დარგში დრამატული ხელოვნება უფრო ახლოა ცხოვრებასთან და თუ მხატვრობა და მოქანდაკეობა ძნელ საქმედ მიგვაჩნია, მაშინ მსახიობის შრომაზე რაღა უნდა ვთქვათ?..

სცენაზე გამოსვლის ნიშანდობლივი უნარი, სახის მეტყველება, ლაპარაკის კილო, ხმის თამაში — ეს ისეთი რამაა, რომლის შესწავლა თითქმის არც კი შეიძლება. თუმცა ამის თაობაზე რამოდენიმე დარიგების მოცემა შეიძლება. მაგალითად, სიარული ყოველთვის გაბედული უნდა იყოს, ხელის მოძრაობა მხრის თავიდან უნდა დაიწყობდეს და არა ნი-

დავიდან. ხელი ნახევრად მოხრილი უნდა გეკიროთ, თითები არაოდეს არ უნდა გააბრკვეთ, ხმას ფალსეტამდე არ უნდა აუმაღლოთ.

მაგრამ ყოველივე ეს თეორიული წესები, სავალდებულო კანონათა რიგი ჩაითვლება.

უკეთუ მომავალმა მსახიობმა კარგი სკოლა გაიარა და მიინც ვერ მიეჩნია საკუთარ ალღოიანობის გამოჩენას, მაშინ უმჯობესია სცენას გამოეთხოვოს.

საქიროა აგრედვე, რომ მსახიობის სახე ემსგავსებოდეს გასაპიროვნებელ გმირის სახეს. შეცდომაა, ვითომც სახელის მოსახვევად საქიროა მხოლოდ ქუეა და ნიჭი.

შეიძლება მსახიობს ჩინებული სკოლაც გაეფლოს, საუცხოვო ხმაც ჰქონდეს, დიდი ნიჭიერებაც, მაგრამ თუ ამასთანავე მას შესაფერი ფიზიკური ღირსებაც არ მოეპოვება, იგი ვერაოდეს ვერ ასცილდება საშუალო დონეს.

ბ. საღინი

## დასავლეთ-ევროპიულ მოდერნიზმის

### ძირითადი მოტივები

(ვ. მ. ფრიჩე)

ხელოვნება სიცოცხლის  
დავიწყების საშუალებაა.  
ჟ. როდენსაჰი.

#### I

მეცხრამეტე საუკუნის დამლევს დასავლეთ-ევროპას აღორძინდა ახალი ესთეტიკა, ესთეტიკა — მოდერნიზმისა. ახალმა art poétique-მა რეალისტური ხელოვნება აღიარა ცალმხრივად, ზერეულად და მოინდომა ამ ხელოვნების შევსება, ან საესებთი ლიკვიდაცა რეალიზმისა და მის ადგილს ილიალიზმისა და ილილისტურ ხელოვნების გამოეება.

„საქიროა დაცულ იქმნეს დოკუმენტალური სინამდვილე, რეალიზმის მდიდარი ნერვიული ენა. მაგრამ ამასთან საქიროც არის ადამიანის სულის გადაშლა. უნდა ვიაროთ იმ გზით, რომელიც გაკაფა ზოლამ; მაგრამ ამასთან ერთად საქიროა პარალელური პაეროვანი გზა. საქიროა სპირიტუალისტურ ნატურალიზმის შექმნა“.

ასე სწერდა მედონის ლამეების ოდესლაც მონაწილე გიუსმანსი.

უფრო მტიკე იყო მოდერნისტულ ახალგაზრდობის პროტესტი ნატურალიზმის წინააღმდეგ.

„ჩვენ გვწალია ილიალური ხელოვნება. მხატვრულ ნაწარმოებში ჩვენ ვეძებთ კონკრეტულ ფორმით აღბეჭდილს დაუსრულებელს იდეას. ჩვენ გვწალია არისტოკრატიული ხელოვნება, რომელმაც უნდა შესცვალოს ფუსფუსი წვრილმანი მხატვრობისა. მოდელის სისწოროთ აღბეჭდვა, ბუნების საესებთი შესწავლა მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისახვევად. ჩვენ რომანტიკები ვართ. ყოველივე მატერიალური ჩვენთვის მეორე ხარისხოვანი საგანია“.

ასე სწერდა ახალ ხელოვნების პროგრამას ლანდსბერგი ნატურალიზმის წინააღმდეგ მიმართულ თავის თხზულებაში: „ძირს ჰაუპტმანი“.



„ჩვენ გვაერთებს სიცოცხლის ახალი გრძობა, რომელიც გადმოსჩქევს თვით სიცოცხლის სულ სხვაგვარ დაფასებიდან — სილამიზის, მშენიერების წყურვილიდან. ახალ ხელოვნების საგანს ხალხი კი არ შეადგენს, არამედ ადამიანი, როგორც გამოაშვარავება სამართლისა, ჩვენთვის მოუწოდებელ ძალისა. იქ, სადაც რეალისტები აღნუსხავენ ქვეშაირების ერთ ნაწილს, იქაც ცალმხრივობაა მათი თვისება“

ასეთია ახალ ესთეტიკის დახასიათება მიუნხენის მოდერნისტების-მიერ, რომელთა მანიფესტი დაბეჭდილია ჟურნალში „Blätter für die Kunst“-ში.

იდეალიზმის სახელით რეალიზმის უარყოფასთან ერთად, მოდერნისტები უცხადებდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას თანამედრობას, მისგან გამოწვეულ აღშფოთებასა, მის საკითხებს, მის შუღლსა და ბრძოლას. გიუსმანის სიტყვით, რავდენა და რეალისტური კოლა აღმერთებდა თანამედრობას, იმდენად სძადავთ იგი მოდერნისტებს.

„ჩვენ არ ვეტრფით სოციალურ წყობილების გაუმჯობესებას, ვინაიდან ეს პრობლემა არ ეკუთვნის პოეზიის სფეროს — აცხადებდნენ მიუნხენელები გეორგი და ჰოფმანსტალი. — არის დრო, ოდეს პოეტი მოუწოდებს იარაღს საბრძოლველად, მაგრამ პოეტი უნდა აღემატებოდეს ჩვენს საზოგადოებრივ და პარტიულ ბრძოლას. ყოველივე ეს მან უნდა უარყოს, ვინაიდან იგი აღმაფრენის ციური ცეცხლის მფარველია“.

აშკარაა, მოდერნისტულ ესთეტიკის ძირითადი მოტივი — **სიცოცხლისაგან უაუქცევაა**. თავის მხრივ, მოდერნისტულმა პოეზიამ არა ერთი და ორი ხელოვნურ ხატებით აღბეჭდა ეს პრინციპი.

## II

✓ ცხოვრებასთან ჩამოშორება, სურიელი ხალხისა და ქვეყნისაგან გამოყოფისა — ასეთია მოდერნისტულ პოეზიის მძლავრი მოტივი. მოდერნიზმის გმირნი მარტოხელნი არიან. ვიღაც ლე-ლილ-ადანის ჟანტასტიურ მოთხრობებში მთელი წყება განდევილებისა (პორტლანდელი ჰერცოგი, გრაფი დეატალი და სხვანი). ყველა ესენი ინსტიტუტურად ელტვიან ადამიანის საშინო მთახლოებას. თავის დროისა და სამშობლო

კუთხის პოლიტიკურ საკითხებს გულგრილად შესტკერიან. მათი განმარტოებულ ხეტილის თანამგზავრი ოცნებაა. ისინი ხილვას იტკობენ ბუნების თვალწარმტაცის სურათებით. ისინი სტებებიან, ოდესაც დიდებულ შემოდგომისა-ლამო ღვივის გარემო ტყის მწვერვალზე. ასეთივე განდევილნი არიან გიუსმანის გმირები: ჰერცოგი დეზესენტი, თავის კოშკში განმარტოებული, მოხუცი კარე, სამრეკლოზე მარტად მცხოვერები, და მწერალი ღირბეტი, რომელიც მოწასტერს აფარებს თავს. განდევილნი არიან როდენბახის გმირნიც: ჰიუგი ვიანი, ბორლიუტი.

თანამედროვე საზოგადოებაში მარტად და უცხოდ გრძობენ თავს სტრინდბერგის გმირებიც: უეიც მეთევზეთა სოფელს გატყორცნილი ინჟინერი ბორკი ბოშეზთან მცხოვერები მაგისტრი ტერნერი. ყველა ამათ ვერ გაუბეღიათ სინამდვილესთან ოდნავ მაინც შეხება, მისცემიან თავის შინაგან განცდათ და, საკუთარ სულის ჩაღრში გახვეულნი, განიცდიან მყუდროებას, მშვიდს სიხარულსა და უზიფათობის გრძობას.

სიმარტოე მუდმივი თანამგზავრია შნიცლერის გმირებისაც. ისინი მხოლოდ მაშინ გნწობენ თავს კარგად, როდესაც მარტონი მიდიან თავის გზით, როგორც ფონ-სალა, ისინი მაშინაც მარტოხელნი არიან, როდესაც გარს ახვევიათ ცოლი, შვილები, შვილიშვილები, როდესაც მათ უკან მისდევს ბაკნათა მთელი პროცესია. ცხოვრებისგან განშორების სურვილი — ჩვეულობრივი თემაა ჰოფმანსტალის პოეზიისაც.

თანამედროვე სინამდვილეს ჩამოშორებული მოდერნისტული გმირები შორიდან შესტკერიან ცხოვრებას, როგორც პასიური მოწმენი. მათ არ სწავლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სიცოცხლის სიხარულსა და ვიებაში, მღელვარებასა და ბრძოლაში. ამიტომ მოდერნიზმის გმირებისათვის განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს მოგზაურობა. მგზავრის თვალწინ სიცოცხლე მიჰქრის, როგორც სურათების ახლო და მასთან შორი კალეიდოსკოპი; მგზავრის თვალწინ სიცოცხლე იშლება აქრელე-ბულ მოჩვენებად.

„მე ვერ ავიწერთ, რა ნეტარ გრძობას



განვიცი, როდესაც ვმოგზაურობ—ამბობს შნი-  
ცლერის გმირი, მწერალი ჰენრიხი.—განვიცი-  
ათ როდისმე მდგომარეობა, როდესაც მოვ-  
ნებანი, შორეული და ახლონი, ჰკარავვენ  
თავის სიმძიმეს, როდესაც ის ხალხი, რო-  
მელთანაც წინათ დარდით, ვარამით, სი-  
ხარულით, სინახით ყოფილხართ დაკავში-  
რებული, გეჩვენებათ აჩრდილად, ანუ, უკეთ  
რომ ვსთქვა, თქვენ-მიერ შექმნილ ხატე-  
ბად? მიჰქრია უცნობ ქალაქებისკენ, რომე-  
ლნიც არც კი გინახავს და იქნებ არცნახო.  
გზაში გვეფიქვითან უცნობნი და კვლავ ინთქე-  
ბიან უუწყვეთა დროთა სივრცეში... ასეთ მოვ-  
ზაურობად გაუხდიათ სიცოცხლე ჰომანსტლის  
პიესის („ავანტიურისტი და მომღერალი-ქალი“)  
მოკმედ პირებსაც.

მოდერნისტულ პოეზიაში იშვიათი შემთ-  
ხვევა, როდესაც სიცოცხლეში აქტიურ მონა-  
წილეობის უარყოფა ტრადიულ ელფერს იღ-  
ებს, როდესაც აშკარადება ადამიანის უძლეუ-  
რება უსაშუალოდ დასტკბეს სიცოცხლის სი-  
ლამაზითა და ბედნიერებით.

ვილიე დე-ლილ-ადანის მოთხრობაში („პო-  
რტილიანდელი ჰერცოგი“) უკანსკნელი კეთ-  
როვანი თავს აფარებს უდაბურს, დაღვრემილ  
ბაღში ოდესღაც გაშენებულ კოშკს. აქ იწვევს  
კეთროვანი სტუმრათ ინგლისელ არტისტოკ-  
რატის რჩეულ საზოგადოებას. ძველებურ სა-  
სახლის თაღებ ქვეშ იმართება მაშინ ბრწყინვა-  
ლი, დიდებული ნიღმი, იწყება „თავადური  
თავისუფალი ლამე“, ისმის სიცილი მომზობლავ  
მსახიობ-ქალთა და უდარდელ კეკულთა...  
მაგრამ თვით კეთროვანი ჰერცოგი ამ დროს  
განმარტოებულია ზღვის პირას; საშინელ ავად-  
მყოფობით დამახინჯებული იგი დგას, როგორც  
ქვის მოჩვენება...

### III

სინამდვილესთან შეხვედრის შიშია მიზეზი,  
რომ მოდერნისტებს უბრალო თამაზად გაუ-  
ხდიათ სიცოცხლე, თეატრად—მსოფლიო, აქ-  
ტიორად—ადამიანი. შნიცლერის გმირი ჯა-  
დოქარი პოეტი პარაკელსა მოკლეთ, რამოდენ-  
იმე სიტყვით გამოსთქვამს მოდერნიზმის მსო-  
ფლიო მხედველობის თავისებურ თვისებას:

„მოელი სიცოცხლე თამაზია: ის არის  
ბრძენი, ვინც ეს შეიგნო“.

უწინარეს ყოვლისა, მოდერნისტისათვის  
თვით სიყვარულის გრძობაც თამაზია. წმინდა  
ვნების მიგვიერ იგი ამეფებს განცხრომასა და  
ფლიორტს (Liebe—Liebeteil), კომედიათა ხეის  
ქორწინებას. შნიცლერის „ინტერმეცოში“  
ცოლ-ქმარი ერთმანეთს შორდება. მხოლოდ  
როდესაც ერთხმად გადასწყვეტენ აღარ იყვენ  
მეუღლენო, არამედ ითამაზონ მეუღლეების რო-  
ლი, მაშინ ხელ-ახლად იგრძნობენ ურთიერთი-  
სადმი სიყვარულს. უაილდის რომანის „დო-  
რიან გრეის სახე“-ს გმირის ლორდ ჰანრის  
სიტყვით, ქორწინება იმპროვიზა მშვენიერი, რომ  
იგი ფიქტია; ქმარი და ცოლი მეუღლენი  
არიან მხოლოდ საზოგადოების წინაშე. ქმარმა  
არასოდეს არ იცის, სად არის ცოლი; ცოლმა  
არ იცის, რას აკეთებს ქმარი, ხოლო ერთი  
და მეორეც ყოველსავე საშუალებას ხმარობს  
არ გადასცდეს თავის როლს.

მოდერნისტისათვის პოლიტიკაც თამაზია,  
თუ წინედ პარლამენტის მოღვაწეს გულით  
სწამდა, რასაც ის ტრიბუნლიდან იცავდა, ახლა  
შნიცლერის რომანის („გზა თავისუფლების-  
კენ“) გმირის ექიმ ბარტოლდის სიტყვით,  
პოლიტიკოსისათვის თველი საზოგადოებრივი  
ცხოვრება შესაქცევი თამაზია, რომელიც არ  
იწვევს არც აღფრთოვანებას, არც აღშფო-  
თებას.

რევოლიუციაც თამაზი გამხდარა მოდერ-  
ნისტისათვის. შნიცლერისაებრ, მოდერნისტი  
არ ასწერს პარიზელ მესამე წოდების აჯანყე-  
ბას, არამედ მის ოტებას კომედიაში, რომელ-  
საც „მწვანე თუთიყუშის“ სამიკტიონში მისხ-  
რები აღგვინებენ.

თუ მოდერნისტისათვის სიცოცხლე თა-  
მაზია,—ადამიანი აქტიორია, მეტი არაფერი.  
ჰომანსტლის პიესის ერთი გმირი, გრაფი  
კლავდიო ამბობს: „უბადრუკმა და გამოუსა-  
დგვარმა გადავლახე სენა სიცოცხლისა“...

სიკვდილის მოახლოებისასაც განავრძობს  
ადამიანი კომედიას. შნიცლერის პიესა „მეატ-  
რიჩეს პირბადე“ შემდეგს მოგვითხრობს: მტრის  
ჯარი ქალაქს ალყას არტყამს და უქადის  
სრულს განადგურებას. ჰერცოგი საყენოდ  
იწვევს ქვეშევრდომებს, ქალწულთაგან ირჩევს  
საკოლეს ერთი საათით და სიკვდილთ ან პი-  
რისპირ მართავს შესაქცევს თამაზს.



ხან და ხან მოდერნისტების მოტივი—მოთელი სიცოცხლე თამაშიაო—ტრაგიულ დისონანსის სახეს იღებს. შნიკლერის რომანში („გზა თავისუფლებისაკენ“) ახალგაზდა მსახიობი ქალი, მწერალი ნიურნბერგერის და, სიკვდილის წინ დარწმუნდება, რომ აქამდის მისი სიცოცხლე დახატულ-დათხუპნილ ცის ქვეშა და კარტანის კედლების შუა წანწალი იყო, რომ აქამდის მისი არსებობა მარტოოდენ თვითმოტყუება იყო. ყოველივე მისი ნამდვილი განცდა—ყოველდღიური თავგადასავალი დაქირავებულ სახლში და სასტუმროში, უცხო ქალაქის ქუჩებში—აგონდებოდა არა როგორც ნამდვილად განცდილი, არამედ როგორც რომელიმე სცენა, მისი მონაწილეობით შესრულებული. და რამდენადღაც იგი უახლოვდებოდა სამარხს, იღენად მძლავრად დარდობდა, ნაღვლობდა უყურადღებოდ დატოვებულ სიცოცხლეზე.

თუმცა ჩვეულებრივია, რომ აქტიორი, თუ სურს, კვლავ ადამიანად იქცეს, იცოცხლოს არა მოჩვენებითა, არამედ რეალური სიცოცხლით, იძულებულია სევდით აღნიშნოს, რომ ნამდვილი ვნების განცდისათვის მას ძალია აღარ შესწევს. ამგვარია ვილი დელეილ-ადანის მოთხრობის „ადამიანად ქცევის სურვილის“ დედაზრი. აქტიორი ჰინსონი მთელ თავის სიცოცხლეს არდგენს სხვის ვნებათ, თუმცა თვით არასოდეს არ განიცდის მათ. ჰინსონი აჩრდილია. და აი, მას სურს ხელოვნად ადამიანად იქცეს. იგი შენობას ცეცხლს უკიდებს; ამით უნდა გამოიწვიოს სინდისის ქენჯნა, რეალური და არა მოჩვენებითი. მაგრამ ამაოდ! ჰინსონი არ განიცდიდა სინდისის ქენჯნას, სინდისი არავითარ საყვედურს არ უცხადებდა მას. ჰინსონი ინიშნება კანდელის მოდარაჯედ. სასოწარკვეთილი, იგი ურევს სიგნალებს, სწადია რომელიმე გემია დაღუპვა და მით სინდისის მხილების გამოწვევა. ამაოა: სინდისის მხილება არსაით სჩანდა...

მაგრამ თუ აქტიორმა მოახერხა და ხელახლად იქცა ადამიანად, იგი იძულებულია დარწმუნდეს, რომ მისი მოჩვენებითი ვნება ნამდვილ გრძობაზე მეტად ფსაობს. ასეთია უაილდის რომანის „დორიან გრეის სახე“-ს გმირის— მსახიობ-ქალის სიბილა ვენის ტრაგე-

დია. ვინემ იგი არ შეიყვარებდა დორიანს, შექსპარის ქმირ-ქალთა მშვენიერი აღმბეჭდელი იყო. ხოლო როდესაც სიბილამ სცნო ნამდვილი ვნება, მან თვისდა შეუმჩნევლად დაჰკარგა არტისტიული აღლო.

„სანამ თქვენ გაიცნობდით—ეუბნება სიბილა დორიანს—ჩემ სიცოცხლეში ერთად ერთი სინამდვილე სცენაზე თამაში იყო. მე მხოლოდ თეატრში ვცოცხლობდი. დათხუპნილი კულისებზე იყო ჩემი მსოფლიო, მე აჩრდილის მეტი არა ვიცოდი რა. თქვენ მასწავლეთ რა არი ქეშმარტი სინამდვილე. წამიყვანეთ აქედან. მე შემემლო აღმბეჭდა ის ვნება, რომელსაც მე არ განვიცდიდი, ხოლო მე არ ძალმიძს იმ ვნების გამოაშკარავება, რომელიც ცეცხლივითა მწვამს“.

მაგრამ დორიან გრეის გულისხმად ჰყოფს აქტიორი და არა ადამიანი. მისი უარი-სიბილას თ ვეის მოკვლის მიზეზია.

„ეგ ქალი—ანუეგშებს დორიანს ლორდ პანრი—არასოდეს არ სცოცხლობდა სინამდვილეში. ამიტომ იგი არ მოაკვდარა სინამდვილეში თუ ვნებაზე იწუხებთ ოფელიაზე; ნაცარი დაიყარეთ თავზე, ვინაიდან გასრესილა კორდელია; ლად-ყავით ცათა მიმართ, რადგან მოკვდა ბრაზანციოს ასული. მხოლოდ ნუ დააფრქვევთ თქვენს ცერმებს სიბილა ვენს. იგი ნაკლები რეალობაა, ვინემ ისინი“.

(შემდეგი აქნება)

პეტრე დადვაძე



მ დ ი ნ ა რ ე ე

მიყვარს, მდინარე, როს შენს ნაპირას ვზივარ ფიქრებით გარემოცული, მე გულში ჩაგეჭკრ და შენ-კი, ცელქო, ჩქრაილით მიჰქრო გამოვლებული!

\* \*

წამები წუთს ქმნის, წუთები—საათს, შენ-კი, მდინარე; ცხოვრებისა ზღვას... მაშ გასწი მედგარად, მეც თან გაეკვები, ვერვინ დაუღებს შენ წინსვლას საზღვარს.

მიქქალი





6. ვახუშტა-ცაგარლისა (ქაიქაიან-ს რეაქცია)

## ერთხელ მაინც...

სალამო ხანს სახლიდან გამოვიდა ძვირფასი, აკრედიტებული ტანისამოსით მოკაზმული ხან-შესული ქალი.

ზედ დაიხედა, კაბის კალთა აიკრიფა და ქალურის გრეხით, ძალდატანებულ ღიმილით დიდი ქუჩისკენ გაეშურა!..

გზაზე გამოვლელ მამაკაცებს თვალეში შეპყურებდა, და როცა იგინი დააკეჭრდებოდნენ, ქალი ფეხებს აბაკუნებდა, კეკლუცობდა: ხან შედგებოდა, ხან გზას აუქცევდა!..

მაგრამ მთელმა მისმა ქალურმა პრანკვაგრებამ ვერა უშველა-რა და მამაკაცი ვერ გაიტყუა!..

ბევრი სიარულით დაღლილ-დაქანცული, მარცხით დაღონებული სახლში დაბრუნდა!..

მოიხადა შლიაბა, გაიძრო წამოსასხამი, დევცა ტახტზე, დაიწყო ტირილი!..

სტიროდა ქალი, აფრქვევდა მდლდარებას სწყველიდა თავის ბედსა და ცხოვრებას კრულვა შეჩვევებას უთვლიდა!..

ცხოვრების მორცევი ჩაყურყუმალბეზულმა დაპკარვა ნამდვილი სახე ქალისა და უსულო, უგულო ტიკინად გადიქა!..

ტიროდა და მის ტირილში იგრძნობდით: თავის თავის დამცირებას, სინანულს, სურვილს სიკვდილ-სიცოცხლისას, უზომო ზიზღს ცხოვრებისა და თვით ადამიანისადმი, სინდრისს ქენჯნას.....

სტიროდა... და მის ტირილში თითქო ხეყენ-ნა-ვედრება გამოისმოდა: „მიშველეთ, ძალნო, ციურნო!..“

„დედ-გმირო, მამაკაცო, შემოიკრიბე სიწმინდე, პატონსება, სინდისი, სიყვარული და მიხსენი“!..

სტიროდა დიხანს და, როს ტირილით მოიოხა გული, მშიერ-წყურვალე მიყურნო გაციებულ კედელსა და... მივიძინა.

ნახა სიზმარი: ნაზი, სნეტაკი, მოსიყვარული, ბედნიერების ღიმილით გაბრწყინებული, ყველასაგან პატივცემული ქალი-დედა...

სიზმრით დამტკბარს ტუჩებზე ღიმილი უკრთოდა!..

საბრალო!..

ერთხელ მაინც იგრძნო, რა არის ბედნიერება?..

და ისიც სიზმარში...

გიორგი ფოცხოველი.



\* \*  
(ა. შანშიაშვილს)

სევ სანეტარო, შებება, განცხრომა, დაპკეპე, შერისხე, დასწყევ-დაპკარული; და სედა-ურვით მოთქმა-გოდება სატრფოდ იცანი... დამიჯნურე!!

უდაბურს, ხროკს, მებოლოთ აკლდამას, ცრემლესს აპკურებ გულომოსკვნილი: და უმანკო სისხლს, მტრისგან დანთხელს, იგლოვ საურგო ძაძა-მოსილი...

წმიდა ტრფილის დაწყვეტილს ძაფებს აბამ... ანასკვევ შწარეს და ტბილისა, ნეტარებისკენ უხმობ ბედის გერს— გუბეში ჩამკვდარს ადამის შვილსა!!

ტიკინა-ფშაველა



# მტარვალის ბ ე ღ ი

(სონთაქრ მონასტრისაჲს უკანასკნელად)

## ა. ნერადოვის რომანი.

თანამედროვე დრამა ერთ მოქმედებად

### მოკმედნი:

აბდულ-ჰამედი, ხონთქარი  
 ნადირ-ალა, საჭურისი  
 სერბიანი, | ჯა უშუბი  
 ჰასანი,  
 მოლა,  
 ჯარის კაცნი,  
 შეიხ-ულ-ისლამი, მღვდელ-მთავარი  
 იუსუფ-ეფენდი, | კომიტეტის წევრნი  
 სულ-იმბეი,  
 ილმ ოღლი, ლეიტენანტი  
 მელჰამ, ამის სატრფო  
 დოჟუმბი, ლეიტენანტი

სცენა: ხონთქარის სასახლეში, აბდულ-ჰამედის კაბინეტი ერთი საჩინო სავალ კარებით, ხოლო სამი საიდუმლო-უჩინარ კარებით, რომელთა შორის ერთი საიდუმლო სათაბორის ოთახისა, მეორე საპრობილე ოთახისა, ხოლო მესამე უკანა გასავლისა.

### I

#### ხონთქარი და ნადირ-ალა

**ხონთქარი** დრმაჲდ ჩაფიქრებულია. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ნადირ-ალა—

**ნად.** (სელამისთანავე) დიდება თქვენდა, თვითმბრძანებელი!

**ხონ.** (მრისხნელ გადახედვას, შემდეგ მწარის დამილით თავისთვის) „თვითმბრძანებელი!“... (ნადირ-ადას) რა ამბავია?..

**ნად.** თქვენდა დიდება... მტრებს დამარცხება...

**ხონ.** (სისხრულით წამოხტება) ხალხი აჯანყდა?! მათ მიესია?!...

**ნად.** ეშხადება... რაზმიც მზად არის... მარჯვე დროს ელის...

**ხონ.** (განრისხებული, ხელთ თავისთვის) „მარჯვე დროს ელიან!“...

**ნად.** მათმა მეთაურმა, ერთგულმა ჰასანმა მსრუფელ აღასრულა შენი ბრძანება...

**ხონ.** (მოუთმენელი სისხრულით გააწყვეტინებს)

მოკლა ჩემი ძმა?! ჩემი მეტოქე მუხამედი?...  
**ნად.** ცოცხალია... ხოლო ილიმი აქ მოიყვანა შეკრული.

**ხონ.** (წამს წარის შეგარავს. გახარებული) დიდარს ალახი!.. (ქვეთ) მერე თვით ილიმი?! თუ მისი აზრდილია?..

**ნად.** როგორც მე აქა...

**ხონ.** მომგვარეთ აქა... ილიმ-ოღლი!.. თვითონ ილიმი!..

### II

#### იგივე და ილიმ-ოღლი

**ილიმ.** (ნადირ-ადა შემოიყვანს ექვსე მოდებული თაკით უკან ხელგბ შეკრულს. სონთქარს წინ გამოიჭიმება. ამაჲდ) უბძანეთ შემხსნან...

**ხონ.** (თვალს გაუშტერებს) ილიმ, ილიმი!.. სწორედ ის არის!..

**ილ.** (ამაჲდ) დიად გახლავარ...

**ხონ.** (კარგა ხნის დამტრუბის შემდეგ ნადირ ადას) მაშ, მაშ ის თავი!..

**ნად.** მეც, მბრძანებელი, ენახე ის თვეი ჰუსუფ-ფაშასგან გამოგზავნილი. ჰგავდა კიდევ.

**ხონ.** (განრისხებული) ჰუსუფ-ფაშასგან? აქ დაიბარე მწრათის დევეშით... (დამცინავს დამილით) დავსაჩუქრებ... გეცმის! დევეშით... (იღიმ ოღლი! მრისხნელ) შენ?!... (თავდაჭერად სიმკაცრით) ვინაობა!..

**ილ.** ლეიტენანტი ილიმ ოღლი...

**ნად.** გემის „ოსმანი“-ს. სასახლის პირას, თქვენ პირ-დე-პირა, ზღვაში რომა სდვას!..

**ხონ.** (ირსონიულის დამილით) ხონთქრის პირდაპირ, ვითა დარაჯი...

**ილ.** (ამაჲდ) დიახ, ხელმწიფე! თვალ-ყურს ვაღვენებთ მხოლოდ შენსა მტრებს...

**ხონ.** ჩემს მტრებს!... (ნადირ-ადას) მაშ შეუხსენს!.. (ნადირ-ადა დაუფერებული შეჭურუებს) შეუხსენს!... (ნადირ-ადა შესხნის ხელგბს, რის გამოც ილიმი დამიშუადება) შენ ხომ წვერი ხარ კომიტეტისა?!..

**ნად.** კონსტიტუციის, ჩვენ მთავარ გამგეთა.

**ნად.** (ქვეყურა დასმენით) დღეიდან მათი მდივანიც გახლავთ...

**ხონ.** (ფარულ ბრახმორული) ჩვენ ახალგაზდა კომიტეტის!?

**ხონ.** (იღიმუე გამოთვლილად გადახედვას ნადირ-ადას) სად მიღვეი განათლება...

**ილ.** საფრანგეთში.





**ხონ.** სადაური ხარ?!

**ილ.** შთამომავლობით აქარელი...

**ნად.** ქართველი არი...

**ილ.** (უკმაყოფილოდ გადასჯავს, შეიძვრება) შთამომავლობით დიხს ქართველი, ხოლო დღეს კია ოსმალთ მხედარი...

**ნად.** მაგისმა მამამ ახალციხეში თავი იჩინა რუსთ ერთგულებით...

**ილ.** (შესდევრას ნადირ-დასს) დიხს, მოსტყუვდა, ჩემო ხელმწიფე! ხოლო შეცდომა მით გაასწორა, რომ მე ოსმალთ ერთგულ მოქალაქედ აღმზარდა...

**ხონ.** რომელიც თავის ხონთქარს-მბრძანებელს მოსკოვადაც აღარ ინდობდა...

**ილ.** (თამაშად) მე ხელმწიფეო...

**ხონ.** (ქველბოთი) გასურდა კომიტეტის ბრძანება აღსრულებულიყო?..

**ნად.** (მძლავრად ხელუბნებდა) დიდ არს ალახი!.. (მოაწიქვით გადასჯავს ხონთქარს, სოფლად რა შეატყუას უკმაყოფილოდ გამოიქვეყნებებს, გადასხვავდება) კურთხეულია მისკან სულითანი.

**ხონ.** (მაუხლოდებდა) აბა?! ხომ დარწმუნდლი, რომ სტყუვდებოდი?... იქ, რომ ნამდვილად მე დავხვედროდი კონსტიტუციას ვინდა მოგცემდათ?...

**ნად.** (რა მაუხლებს ხონთქარს ზარ-შთთხობას, მაიხვს) განა მბრძანებელს თვით არ სწყურდა თავის ქვეშევრდომთა თავისუფლება?..

**ილ.** (ტუფ უბრუნებდა) ვმადლობ ალახსა!..

**ხონ.** (ქველურად) ჰო და ხომ ხედავ: ყველგან სიბრთხილეა საქირო. აჩქარებული არა ვარგარა... რაც კონსტიტუცია გამოცხადდა მე თითონა ვარ თავისუფალი... მაგრამ, ხომ ხედავ, ნადარევი... ხალხი ჯერაც ვერ შერიგებია... ბევრი ჩემი უმადურია...

**ილ.** (თამაშად და გუფანდლიად) არა, ხელმწიფე! ხალხი შენი მადლიერია, ხოლო უმადურია ჩემი სამშობლოს უფიცი მტერი! (გადასჯავს ზახლით ნადირ-დასს) შენ ვარს გეხვია აქ შენი მტრები. დღესაც ისინი მტრობენ სამშობლოს... (ხონთქარს მოუთმუნდობს ეტყობს) ჩვენ ახალგაზდა კომიტეტის მოქმედებამ...

**ხონ.** (მრისხნელად გაწვეტიანებს მავიდაზე სუფის ძლიერად დაკვრით) ემარა!.. (აღიმა შედრეკება, ნადირ-დას შეკრთება. ხონთქარი თანდათან დეფლებს, სხეზე შურის ძიების მრისხნებს დატუთ-

ბს. ზატარა ხნის შეიძვრე) შენ უნდა წამებულოცავ როგორ გაიპარე? ვინ გავაქცია?..

**ნად.** (მაუხლოდებდა ილიას და შურის-ძიებით მთავანებს) საწამებლოდან...

**ილ.** (გამოიარკვევა. ამაჯად) თვით ჩემმა ბედმა...

**ნად.** (ქველურად) ქალმა?..

**ხონ.** (ბრაზმორეული) მელჰამმა?!.. როდის გაიცანე?! ან სად გაიცანე?!

**ილ.** იქ, საიდანაც წამოიყვანეს ჭარამხანაში თქვენთვის საცოლედ.

**ხონ.** ხშირად ხედავდი ერთმანეთსა?...

**ილ.** მხოლოდ იმ ღამეს...

**ნად.** რა ღამესაც, ვით ავიახვი, აქ მოსაკლავად შემოიპარა.

**ხონ.** (მრისხნელად გადასჯავს ნადირ-დასს, შეიძვრება ილიას) მელჰამმა განვენა აქ საიდუმლო შემოსასვლელი?..

**ნად.** (რა არ იღებს ილიაში ხმას) მბრძანებელის საწოლში, სადაც დავიხვდა მგზავსი ტინი...

**ხონ.** (მრისხნება ემატება, რაჟა ილიაში ხმას არ იღებს) სთქვი!.. მელჰამ სად არის! სადა გყავს ახლა?!...

**ნად.** (ხონთქარს) შენის ბრძანებით ზღვაში ჩავადგეთ...

**ილ.** მაგრამ განვებამ გადააჩინა...

**ხონ.** (მრისხნელად ნადირ-დასს) უ, თქვე ძაღლებო!.. (ილიას) მერე სადა გყავს?!

**ილ.** თქვენი ჯაშუში მის ვერ მიაგნებს...

**ხონ.** (მივარდება, სოფლად შესდგება) უჰ!.. გამაშორე! საწამებლოში! თვალი ადევნეთ! (გაუფანს ნადირ-დას და დასრუნდება) ჩორას ბრძანება: --ყოველი ხერხი საწამებლოდ მზად ჰქონდეს ახლავ. მე დავესწრობი წამებას... ისე ვაწამო, რომ მაგის ცოდვით თვითონ ჯალათი იტყემლებოდეს... მომადტყუილეს?! მე, სხვისი თავი გამომიგზავნეს!.. ძაღლები!.. ნადირ!

**ნად.** რას მიბრძანებ?

**ხონ.** (შეუბნებდა) გაუგზავნევი დებემა უსუსს?

**ნად.** უსუსს აღარა, რადგან თვით სერბიანი აქ არის, რომლისგან, ვგონებ, უნდა იყოს მოხერხებული. ელის წყალობას...

**ხონ.** ჯილდოსა ჩემგან?.. შემოიყვანე...

III

ივინივე და სერბიანი

**სერბ.** (აქცავს კარათსთან სლამას ნაშნად)



დღეგეძლობა ქვეყნის მბრძანებელს...

**ხონ.** (დაცინიათ) ახალთაობის კომიტეტი ხომ არა გდევნის, ჩემო ჯაშუშო?... კონსტიტუციამ ხომ არ გავდევნა ჯაშუშობისათვის?..

**სერ.** ღვთის მოწყალება... თქვენი წყალობა.

**ხონ.** გამაძლიოთ ილიმის ნამდვილ თავისათვის... (სწრაფი თავს მადლა ადკუს სიამყაით) შენ მოახერხე ილიმის მოკვლა, (გაღუქვათ) თუ უსუფ ფაშაც დაგეხმარა?...

**სერ.** ის, მბრძანებელო, რას მოიცილიდა... მე მბრძანებელო! უსუფ ფაშამ-კი გამოგვიგზავნათ...

**ხონ.** მაშ შენ მაგისათვის ღირსი ხარ...

**სერ.** (უფრო თამაზად) თქვენი წყალობა...

**ხონ.** (მრისხნულად) დასჯის!.. (გაღვიძებათ) ვის მოსტერ თავი?...

**სერ.** (ელაფნაგმა გაურთხობა ატეგზე) მბრძანებელო...

**ხონ.** ვისი თავია!

**სერ.** (აუღელუღაით) რა გამოგზავნა უსუფ ფაშამ, მე არ მინახავს...

**ხონ.** (წაჭკრავს გიჟებში ფეხს) უჰ! ძაღლო! ჯიღლო! ჯიღლოსთვის მყიდით... ნადირ! წაიყვ. ჩორამ აწამოს. გამოათქმევენოს ვისი თავი შემომბატუვა... (ბრახმოსული ზაღათას სცემს) ყველა მატყუებს...

**ნად.** (გაუყვანს სერბანს და თვაითან დაბრუნდება) შენი-ულ-ისლამ აქ შენ მოგვლის.

**ხონ.** (შეხადება) კარგი მოვიდეს. (გაბრუნდება ნადირ-ად) მსურს მისი აზრი. მხარს თუ დამიჭერს სამღვდელეობის მამამთავარი...

IV

ხონთქარი და შეიხ-ულ-ისლამი

**ბეიხ-ულ-ის.** (შემოსულიანთაყე) კურთხევა შენდა წმიდა მამპაიდისა.

**ხონ.** (დაცქერდება. შემიღებ) რას იტყვი ახალს მსურს მომისმინო... ერთი მითხარ: როგორ ითვისებს სამღვდელეობა ჩემს ახალს წესწყობილებას?... (გამოცდი) ვით შეეთვისა კონსტიტუციას...

**შეიხ.** (გაუკუნებთ) ვით გვიღალ აღდებს ჩვენი ყურანი.

**ხონ.** ჩვენი ყურანი რას გვიღალადებს...

**შეიხ.** იგი მომხრეა კონსტიტუციის. ყურანი აძლევს: თავის სუფლებას აზრთ გამოთქმაში...

**ხონ.** (მთითყინად გაწყვეტინებს) მგარამ

სულთანი ხომ თვით მამპაიდის მოადგილეა, მისი წინასწარმეტყველი...

**შეიხ.** კუშპირიტად! და მაგიტომაც ვაღდებულა ხალიფთ მემკვიდრე ზრუნავდეს და იცავდეს მამპაიდინის სამთავროს ყოველს მცხოვრებს. მოვალეა მათ მინიჭოს მყუდრო ცხოვრება; მდიდარს თუ გლახას თანასწორი თავისუფლება ჰქონდეს, არავინ იყვეს მათში ჩაგრული.

**ხონ.** (ფარულ უსიამოვნებთ) მერე მზად-კია ჩემი ხალხი, რომ გონიერად მოიხმაროს თავისუფლება?...

**შეიხ.** (შტეიციად) ვანა არის-კი სადმე სამთავრო, რომ ასე უცებ წესწყობილების შეცვლითა შემდეგ სისხლ დაუღვრელად გადაჩენილიყოს?! ასე სისწრაფით დამკვიდრებულნი კონსტიტუცია შეთვისებინოს? დიად, ხელმწიფეო ხალხი მზად იყ: იგი ელოდა კონსტიტუციას, თავის სამშობლოს ზანახდებდა...

**ხონ.** (წამოფარდება მრისხნულად. სოფო წამს თავს შეამაგრებს ტუჩის მოკვეთილად) განახლებას! კონსტიტუციას!.. (შეჭკვარებს) ნადირ!.. (რე შემოვა ნადარ და, ქვეყურად შეიხულ ისლამის მამარ) იასელ... (გადას ბეიხულ ისლამი. გაჭკვება ნადარდა. თან გააღვიძებს ხონთქარი თვალს და წამთახებს) ოოჰ! რა სიამოვნებით დაგიღმეუვლი მაგ ნეტარების გრძობის სახეს ძველი უფლება რომ მქონდეს... მის დავიგარუნებ!.

**ნად.** (დაბრუნებისას) მბრძანებელო! სამი წვერია კომიტეტისა, შენი ნახვა სურთ აქ მოგვიღიან.

**ხონ.** (შეჭკვარებს) დე, მელოდენ!.. (შეიქანაღება) მგარამ, ამ ეამად მბრძანებელს... მოთმენა მართებს (მწარე დამაღათ) დღეს კომიტეტი მმართველი არი...ახ აღგაზრდათ წილად ხედათ ძლივე... მგარამ როდემდის!.. მობრძანდენ... მგარამ არა, მხოლოდ ერთი მათგანი... მხოლოდ ცოტახნით... გესმის ცოტახნით უქეფიფოთა ვარ...

**ნად.** დიად, გავიგე... (გაყ. ზატარა ხეის შემიღებ გარედას) მობრძანდით.

ბ. გლახაშვილი.

(დასასრული იქნება)







# შავო ფიქრებო...

შავო ფიქრებო, მწვევებო,  
ნუ განშორდებით ჩემს გულსა,  
ნუ მიატრევთ ერთ წუთსაც  
თქვენს მოტრფილვე ერთგულსა.

დიდი ხანია მას შემდეგ,  
რაც შეგეჩვიეთ ბედკრული,—  
ჩემი გონების მფლობელად  
ჩემთან ხართ დამკვიდრებული.

და ნუ გგონიათ უთქვენოდ  
მივეცემოდე ლხენასა,—  
ბედისგან მივიწყებული  
თქვენგან მოველი შეებასა.

თქვენ გაიბრტყებთ ოცნებით  
შორს, მიუწოდებელ ადგილსა,  
თქვენ დაიწყებთ თვალის წინ  
ჩემის სატრფოის აზრდილსა

ის შემომტყერის თვალბში,  
ალერსით, სიბრაღულითა,  
მარწმუნებს, კვლავად ვახსოვარ  
და თანამიგრძნობს გულითა...

## იმერელი ქალი



### დრამატული მოღვაწე ასპარტემე

(გაგრძელება. იხ. "თეატრი და ცხოვრება" № 15)

**ოქროპირი ბატონიშვილი**, ცნობილი ზირი და მსურველი მოღვაწე **„ფარული საზოგადოებისა“**. **„ვეფხისტყაოსანი“** გადაკეთა სსრკ-ის ნაწარმოებად—ტრაგედიად, და 1853 წ. მთავრდებოდა დსკ-ის ცალკე წიგნად. სხვა ნაწარმოებები: **„ქიანა“**. შეიძლება რუსეთში სადმე სჯარო საშეღებოებში იქონიდა დანაწილად.

**სოფროსო მესხიერი, მღვდელი**, წვერი 1832 წ. **„ფარული საზოგადოებისა“**. რის გამოც ბატონიშვილი იყო „ახარებისა“. შერე განთავისუფლებული 1850 წ. დაიხიზნა ქართ. ენის გენერალად. იყო მწიგნობარი, მცოდნე თავის დროის კვა-

ლად სთავადად მწერლობის მნიშვნელობის; უწერია სხვა და სხვა წერილები და ნაწარმოები; სამწიგნობროდ მისმა ნაწარმოებმა ზეისებმა ჩვენ დრომდე ვერ მოაღწიეს. შუ ბუერისაგან გამოგონა, **„უვარყვარე ათაბაგი“** მისი დაწერილია. ეს ნაწარმო. კრისთავმა 1853 წ. „ცისკარში“ დაბეჭდა თავი სხვადასხვა მწიგნობროდ.

**მეიფარიანი**, მოღვაწე მისხობა 1850 წ. თეატრისა. დასწერა რეაქციონერ ნაწარმოები და ზეისთავანი—**„ქმრები გავებით მახეში“** დაბეჭდა 1852 წ. თბილისში. ეს ნაწარმო. დასწერა მთავრდებოდა. 1855 წლამდე ეს ნაწარმო. რეაქციონერული უთამაშნათ. შუ ხშირათ გამოვიდა იმ დროის თეატრის მოღვაწე ზართავან, რომ ქართველებში თეატრის სიყვარულმა ისე მხელე გააღდა ფეხვა, მისხობანი ისე წახლავდა, რომ უკვლავ მისხობათავანი ცდილობდა, რამე ზეის დაწერა, ამიტომ მისხობანი სწავრდებოდა ზეისებს, სოლო, სამწიგნობროდ, მათს ნაწარმოებს საზოგადო დაუღო 1855 წ. თეატრის მოსწავლამ. ზოგის ნაწარმოები იმ დროს უთამაშნათ კადეტ. სელმანწარმოებთ ქიანათ, მტკრამ ჩვენ დრომდე ვერ მოახწიეს.

**დიმიტრი მელვინეთხუცესოვი**, განთავებულად ქართველი, მოეყვარე მცოდნე საქართველოს ისტორიის და მწერლობისა. მწიგნობარი, წვერი და კორესპონდენტი ზეტეროურის სამეცნიერო აკადემიის, ცნობილი ზირი თავის დროს. თანამიგრძნობა ქართველი ერის განთავებულ და სთავადო საქმეების. სთავადო მწერლობას სეღა მამუღო 1844 წ. დადს უურადლებას აქტედა ადგილობრივ ქართველ ცხოვრებას. შუ იგი გავიდან დიმიტრი ბაქრაძის სხელში 1878 წ. ბუერი რამ ცნობილი მელვინეთხუცესოვი 1850 წ. ქართული თეატრის შესახებ. გარდაიცვალა 1885 წ. დრომდე მოხუცდა. დაწერილი აქვს სხვა და სხვა ნაწარმოები: ორ მოქმედებანი კომედია **„კატა ანონა“**. ზირივედა დაბეჭდა 1866 წ. კაზ. **„დროებაში“**. შერე ცალკე გამოვიდა ორჯერ, სენსიტივად ბუერულ თამაშებს; შერთო ორ მოქმედებანი კომედია **„ქიმიზაში“**, ჟურნალში იყო დაბეჭდილი და შერე 1876 წ. ცალკე გამოვიდა. მუსმე კომედია,— **„ჩემი ქმარი სხვის ირთავს“**, მეთხუცე ერთი ზეტრავ კომედია ძველი „დროების“ ფელეტონში არის დაბეჭდილი; უკვლავ ეს ნაწარმო. დაწერილია 1850 წლამდე, სოლო ბეჭდას კი 1866 წ. შუმიდგე ელირსენ.

**ალექსანდრე სიმონის-ძე გარსევანოვი**

სწერდა კომედიებს. ამის ორ-მთქმელებიანი კომე-  
დია „ცოლები დავკარგეთ“ 1881 წ. შე დავ-  
ბეჭდვ. თვითონ მიაშობ, კომედიებს შე 1850  
წლამდე ვსწერდით. ამავე ზირის სიტყვით, ქართ-  
ველთ შორის გ. ერისთავს და ზ. ანტონოვს ვარ-  
და მრავლად ეუკნ ისეთი ზირნი, რომელნიც 1850  
წ. ზიესებს სწერდნით.

**ზ. კვიციანი**

(შემდეგი იქნება)



**გაზაფხული**

ოხ, რა კარგია, რის გაზაფხულზე  
მისის ვარდა გადიფურჩქნება,  
და მასზედ მორცხვად მართალი ბუღბუღლი  
გულ-მკვებესარ ჭანკით ჭკუათინდება!?

— : —

მის დამთრბებელ ტაქტიკის ხმაზე  
მეკადრებ რომ ვყოფ— გამეღვიძება:  
ჩემი იმედი, დრმად ჩამარსული,  
ბნელ სამარადის მეკადრეთით აღსდგება!...

**გ. მიხიანი**



ო ბ ე რ ი ს მ ო მ დ ე რ ა ლ ნ ი

მ. დ. ნანობაშვილი (დარიალი)

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებულს ჩვენს ქვე-  
ყანას ხანგამომეკით ებდება ისეთი შეიღნი, რომ-  
მელნიც ვერძობის სცენის სიამაყენი-ვა ხდებაან.

სიანრულის გრძობით გჭერთ ამ სტრატეგიებს  
ჩვენი თანამემუღლის მ. ა. ნანობაშვილის წარჩინე-  
ბით ილტვებულნი, მერამ ამავე დროს სევედ მიზ-  
ურბობს, რომ ჩვენს ქვეყნას ჯერ კიდევ ვერ მოყო-  
სერნება სოპერო დასის შედგენას, ქართულ თეატრით  
სისტემატიურად დადგმა.

ხეუა თუ ექნის წელიწადი იქნება, რაც მიხეილ  
ირდიანის მემ ნანობაშვილმა (სცენაზე დარიალი—  
Michél d'Arial) თავი ისხვლა, რომელიც ამ ჟამად  
მომავალი სეხინასთავის აღჭირის სოპერო თეატ-

რშია მიწვეული ზირველ ტენორად. მის ნ გა-  
ათავა თბილისის კლასიკური გიმნაზია, შემდეგ  
პეტერბურგის უნივერსიტეტში განკარგო სწავლა  
და იმავე დროს კონსერვატორიაში შეცადინებდა.  
მუსიკის სიყვარულმა ისე გაატარა, რომ უნივერსი-  
ტეტს მესამე კურსიდან მანება თავი და მუსიკის  
სიყვარულთან შეწყვეტა შეუდგა ზირველხანად ზრთ-  
ფესორ გაბელიან, ხოლო შემდეგ ფერნი ჭირადლიან-  
თან. მდე იტალიას გემეზავდა და მიღანის თეა-  
ტრში იმღერა. იმავე დროს შეცადინებდა იტა-  
ლიის საუკეთესო მუსიკოსების ხელმძღვანელობით.  
რეგენსიმე ხანს მიღანის კერძო თეატრში მღე-  
როდა, შემდეგ გაიწვიეს ნიცაში, იქიდან მონტე-  
კარლოსა და სოფრანკუთის სხვა და სხვა ქალაქით  
სოპერო თეატრებში. მარტს და პრილიში არტა-  
სტიულ ტურნეში იღებდა მონაწილეობას, აყო ბა-  
ლკახეთის ზოგიერთ ქალაქში და სტამბოლშიაც.  
ერთს სეხინის პეტერბურგში აყო და სიახეხელად  
კისლოვოდსკში. მღეროდა ზერედევე ზარიზის Opera  
Comique- ში.

ამის წინად ზარიზში გამართულ ქართულ ს-  
დამში მონაწილეობა მიიღო და ქართულადც იმ-  
ღერა, რითაც აღტაცებაში მოყვანა მსმენელნი.

მუსიკის მღერენი დაღს მომავალს უწინას-  
წარმეტკველებერ ჩვენს თანამემუღელს.

**დრ. პარიზელი**

წ. კ. ამსთანვე გიგზავნით მ. ა. ნანობაშვილის  
სურათს, ახლახან გადაღებულს.

დ. პ.



**მიმღერალი ელენე თარხნიშვილი**

გაზოების ცნობით, ელ. თარხნიშვილი დი-  
დი ურადღება მოეცეკვა მუსიკის.

მელღებდა. მღერნობა. ან რას მოვათხრობს  
იდეური გაზოთა; „ პეტრეწმუღმა კუმბ. დოტ-  
ტამ მოგვასმენინა უვის მოწაფის ახლაცხდა არტა-  
სტი ჭეღის ეღენე თარხნიშვილის სიმღერა: ე.  
ო— ს შექენიერი და სსსამიფონ ხმა აქეს, მღერის  
გრძობით, ახლაცხდა მომღერალს მომხალეული  
აქეს „ფუსტია“, „არიოვეტო“, „მინია“,  
„დინ-პასკული“, „ბალ-მასკარადა“. ზემოსენე-  
ბელ თებობდა ნე. თ—ს შესრულა სხვა და სხვა  
ადგილები. ზერედევე იმღერა „ტრავიატა“ დანობა.

ახლაცხდა მომღერალ გელის დიდებული მო-  
მეული აქეს“.





# მ თ ვ ა რ ე მ...

(გუბლენი ნინოს)

მთვარე, მთვარე, ტურთა მთვარე,  
შუბლ გახსნილო, მოვლვარე,  
ობოლ მგზავრის სანუგეშოდ  
ბნელ ღამეში ვას მორავე.

გავსილი და გაბადრული  
გადმოძურებ ლურჯი სიხა...  
მიყვარს, მიყვარს შენი ცხა—  
შემოგყურებ ღიმილითა.

## ი. მკედლიშვილი



# ზანტიკლერი — ზანთიადის მომღერალი

Chante Cler — მღ. როსტანისა

(წერილი პეტერბურგიდან)

როგორც ჩვენი ჟურნალის წინანდელ ნომრებში (№ 5 და 9) იყო აღნიშნული, დიდი მოთქმა-მოთქმა გამოიწვია სოფრანკეთის სსსრკ-ის მთავრობის მიერ. როსტანის არა ჩვეულებრივი შინაარსის ზეგნად „ზანტიკლერი“-ს.

მოუხედავად იმისა, რომ ბევრთა არ მოსწონთ იგი, როგორც სსსრკ-ის ნაწარმოები, სოფრანკეთის გარე სხვა ქალაქთა სტენები მოაზრდა და ამ დღეებში თბილისის სსსრკ-ის თეატრის სტენსეზად ახილავს სსსრკ-ს. ამიტომ ურთოდ არ იქნება ჩართული მეთვალყურე მოკლე გავანთო ზეგნის შინაარსი.

„ზანტიკლერი“ დაწერილია მშვენიერი ლექსით, მაგრამ მისივე ჟურნალის იპოვების, როგორც მოქმედ ზირობით, ისე მოწყობილობით, რომელშიაც სწარმოების მოქმედება. ზეგნ არა ჩვეულებრივია. „ზანტიკლერი“ სტორიაა ახლანდელი ფრანკების ცხოვრებისა და სხვა-ჩვეულებათა, მხოლოდ ეს სტორია ჩანს მსოფლიო მოქმედ-პირთა ჩანჩქელში და მთავარეულია ფანტასტიკური ელემენტით.

ზირული მოქმედება სწარმოების საქმიანობა, რომლის მორჩინებული ზანტიკლერი თავის თავს მხის შედეგ სოფლის. ზანტიკლერი-ს რწმუნა დამარჯბულია იმ აზრზე, რომ მზე ერთხანად მის გზამკვლევის „ეუფა-ეისა“, და ეთველ დღითი გასძახების თუ არა „ეუფა-ეისა“, მზემ უნდა განათოს დედა-მამა. მოუხედავად ამისა ზანტიკლერი დიდად აფასებს მზეს და შედიდური ჭიბნით შეამკობს (ეს ჭიბნა სუკეპოსო სტენა ზირული მოქმედებაში). სხვა და სხვა ჭიბნის დედლები ეტრფიან და თავს ევლებიან სანტიკლერის „გულთა-მხიბლავს“, რომელიც მკაცრად ეშრება მთ. მაგრამ დედლების აღკურსა მოგზრობის; მის მოსწონს საქმიანობის და სხევის ერთფეროვნება, როგორც ჭიბნის სტორიკანობა და უფერული ცხოვრება. მინდორ-გული, გუფულია, დასურული ტეე — აა რა იბიდავს მის. ზანტიკლერს სწეურა თავისუფალი სიყვარული, მის გრძობის დედებს თვალწარმტეი სიღამაზე, კამწათობა ფეიხა ქალატონის ხობობისა, საქთმის ერთგული დარჯი—საგაზა აზოდ გლილობის დასახევის განსდელია, რომელიც მოკლის ზანტიკლერს მოგზრობის დროს; ზანტიკლერი დასდინის მის სფრთხილად.

ტეეში გა—ღამის მტეებელ ფრთხილთა შეთქმულებია ზანტიკლერ — მხის შეფის წინანდ-მდე. შეგობიან ბუენი, ჭობნი და დამურანი; მათ ზანტიკლერის დედებზე ჭსურთ, რადგან დარწმუნებული არიან მის დედებთან ერთად მზესდ მოკლება ბოდო. ისინიც, როგორც ზანტიკლერი, წარმოსთქვამენ ჭიბნს — მხოლოდ ჭიბნა მიზრთულია მტეებლობის მფრედელ „სუკეპო დამისდამა“. მათ მხარს უჭერს შაეა შაეა, რომელიც კესლით საფეო რთიშობით დასდინის ზანტიკლერის ბრწინებულებას და შედიდურებს. შეთქმულებაში მონაწილეობის იღებეს აგრეთვე ბუეუები და ბუეუბა. გადასწეებტენ ზანტიკლერი შეიტეოდონ ახლგაზრდა მამლითან ბრძობაში, რომლის გამარჯვებაში დარწმუნებული არიან; ამთვე ეკუთვნიან ქალატონ ხობობის გული ზანტიკლერი შეითხეკვით წასწეებ მათ დარსნი.

მონხება შეტეება ზანტიკლერის და ახლგაზრდა მამლის შორის. ევალსთაის მოკლოდნელია ზანტიკლერი გამარჯვებული რჩება. ახლგაზრდა მამალი დამარცხებული გდაა მამაზე, ქალატონი „ხობობი“-კუ ფრთების ფრთხილთა და ჭიბნის ხობი ეტეება გამარჯვებულს. მაგრამ ზანტიკლერს ბო-



დასკან ძღვს წაერთ. „დეკრის შემდეგ“ იქვე დაკეცა დედამაც. სეთა შეხედრათ ცრტათა იმუღ-განრუეული ქაღბტინა „ხოსიაიე“ ამისეუ გერდზე იძინეს.

უკანასკნელი მოქმედება—ძღაურმოკლეს... შნ-ტეკლერს გამოკადიქბა და მღღა ცაზე ბრწყინსე მზის დახსავსე გამტერდება: როგორ მოხდა ეს, რომ მზე ზემს უბრძანებდად გამოხდა!? შამსადამე მისეს უ ეუღაუოდაც „შესდებია ამოსვლია“. შნ-ტეკლერი განადგურებულა.

იგი ვადასწევეტს გამოეახნოვანს ტეის თეა-სუფად ცხოვრებას და დაბრუნებას საქაიმეში თეის ეღღებთან. **სოვოლი**

## მ უ ზ ა ს

რა მემღერება! დე მან იმღეროს, ვისაც ულიმის ბედნიერება, მე-იკ არ ვიცი, რა არის შეება, შვიი ნაღველი გულს არ ეშება.

კათ კეეშანი გამეფებულა, ძილი სწევევით მთისა მწევერვალებს, მწუხრის ზეწარში გამოხვეული ხეში ნაკადი ჰგოდებს, ვღაოდებს.

სიჩნავს სამეყაროს, ნისლით დაბრულს, გაუშევირვალე ღამეა ბნელი, აღტყინებულან საფლავით მეღდრები, დაძრწის, განგაშებს სირს ბელზებელი.

ბოროტი ღიმით პირზედ სატანა განადგურებას უქადის სოფელს, რისთვის დასტოვე, მუზავ, პარანსი, რისთვის დაშორდი ღმერთთა სამეოფელს?

დასწყედენ სიმები... ჩანგიკ მღღაბარებს ვერა, მონობას ვეღარ უმღერებ! ამოა არის, მუზავ! ღიმოლი, ეპატრონება სოფელს სიკელილი.

**ბ. ტაბიძე**

## სათეატრო ამბები

**ღა ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობა** უკვე შე-ულღა მომავალი სეზონისთვის დასის შედგენას.

**ღა თავ. აზნ. თეატრი** სახანოთრო და სახაფხუ-ლო ბალითა და რესტორანებით სამი წლით აიღო ქართ. დრ. საზოგადოებამ, სულ 16000 მან.

**ღა მოსკოვის დრამა პელტეკერისა** 30 მაისი-დან დაიწყებს წარმოდგენებს ქართ. სახაფხულო თეატრში.

**ღა სახაზინო თეატრში** ამ მოკლე ხანში წარ. მოდგენილი იქნება „შანტკელები“.

**ღა ახალმა რევისორებმა** ე. გუნიამა და ე. შა-ლიკაშვილმა უკვე წარუდგინეს გამგეობას მომავალი რე-პერტურის გეგმა.

**ღა ამ ახლო ხანში მოწეული** იქნება ქართ. დრამ. საზოგადოების კრება.

**ღა დრამატ. საზ. სასარგებლოდ** მაისის შუა-რიცხვებში ქართულ სახაფხულო თეატრში ენ. ან. აღ. მაჩაბლის თაოსნობით გაიმართება სეირნობა (დღისით) და დღი მოურავის გიორგი სეაძის გასამართლება (სალამოთ).

**ღა ახალგაზდა მუსიკოსი კ. ფოცხვერა-**შვილი ბეჯითად ამზადებს საკონცერტოთ მომღე-რალთ გუნდს. კონცერტი გაიმართება 16 მაის.

**ღა გამოხაცდელი წარმოდგენები** ქარ. დრ. საზოგ. გამგეობას ახრად აქვს მაისში გამართოს გა-მოსაცდელი წარმოდგენები, რომელშიაც მონაწილეო-ბას მიიღებენ ქართულ სცენაზე მოღვაწეობის მსურ-ველნი, წარმოდგენებს დაეწრობიან მხოლოდ მსახიობნი და პრესის წარმომადგენელნი. ზრამატ. საზოგად. გამ-გეობაში უკვე რამდენმამ ყმაწვილმა კაცმა და ქალმა-შეიტანა განცხადება გამოხაცდელ წარმოდგენაში მონა-წილეობის მისაღებათ.

## ე. ვ. გედევანოვი-მირალიანის იუბილე

6 მაისს არტისტულ საზოგადოების თეა-ტრში დამსხურებულ მსახიობის გედევანოვი-მირალი-ანის 25 წ. სსსკენით მიღვასწოების აღსანიშნავად გამართა საიუბილეო წარმოდგენა და დღესასწაული. წარმოდგენის ქართულად: მე-4 ე. მოქ. მოღაერის „ტარტიუფა“ ს და აგ. ცაგარდის „ხანუმა“; მე-2 ე. მოქ., ხილი სომხურად გ. სუნდუკანცის „დაქტეული თახის“ 1 ე. მოქ. წარმოდგენაში შეთა-რად ჩაირა.

წარმოდგენის შემდეგ დაიწყო საიუბილეო დღე-სასწაული. თუბალითა სცენაზე გამოეყენეს გ. სუნდუკანცის და ნ. კაბუნიან-ცაგარდისამ. პირვე-ლად მიუღობა საიუბილეო კომისის თამგდამარქმ დ. ა. მღებრიუკმა, შემდეგ ქართ. დრამ. საზო-გადოების წარმომადგენელმა ნ. კრასთავამ, მსგო-ვანმა დრამატურგმა გ. სუნდუკანცმა. წაკითხული იქნა აღრესება სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებუ-ლებათა, რეაქციათა და კერძო პირთა, სადღესას-წაული ტელეგრაფებით და სხვა. თუბალითა მაილი 50-მდე მომლოცვა კეკელიანის და რუსეთის ქლდე-ბიანს, 30-მდე სსსკენა: გვარგვიანობა, ვერცხლეუ-ლობა, ფული, წიგნები. დასსსრულ სახანდრამ





შეასრულა სამღერა: „ერთხელ მხოლოდ ისიც ძილდა“... და „მრავალჯერ“. ნასიამოვნება და მადლიერი საზოგადოება დამის თრ საათზე დაიშალა.

ბი—კო.

## ზღაპრული

(შეგობრული ხუმრობა)

ერთ საწალოკოტო უტხო მხარეს, ყოველის მხრივ ბუნებით შემკულს, საც მრავალ-რიცხოვანი „რესტორანები“ არსებობდა—თეთრი და წითელი ღვინით სავსე ტიკები ახრავებული იყო.

ამ საუცხოვო მხარეში სხვა ხელობასთან ერთად თეატრალური ხელოვნებაც არსებობდა! და როგორც ამ ხელოვნებას ეკადრება სათავეში უღდა კაცი მკოდნე და საქმის სიყვარულით აღჭურვილი. ხოლო სუსტი და რბილი ხასიათისა—და თან ერთი ახირებული ზნე სჭირდა... როგორც კი გაახსენდებოდა თეთრი, ან წითელი ღვინო ან მისი სუნი ცემოდა საიდანმე—მაშინვე საქმეზე გული აუცრუვდებოდა და...

ერთ მშვენიერ დღეს, ამ ფრიალ წარჩინებულ კაცს, დრამატულ ხელოვნების საქმით დაქანცულს, ეცა სუნი სურნელოვან პილატის ცრემლისა.

— ეი, შენ! ჩვენი საყვარელი საქმის ბეჯითო კაცი, გასწი და ტკითა ერთითა სასმელი იგი იქ მოავორე!..

და ჯგუფიდან გამოვიდა მოხდენილი წერ-წევა ყმაწვილი და ნაზის ნაბიჯით „ბაბურისაკენ“\* გაემართა...

მას ეძახოდნენ იუზას!

მაგრამ გვიდა ჟამი და ყმაწვილი რვი არ დაბრუნდა...

სათავეში მდგომი ბრძენი კაცი შეიშმუშნა და მიუბრუნდა იქვე მდგომი ჩასუქებულ და სიცოცხლით აღსავსე ვაჟკაცს, რომელიც გაფიცვებით კარებისაკენ იტკირებოდა, რომ დაენახა იუზას მიერ მოვორებულ ღვინით აღსავსე ტიკი იგი!

— რათ ივიანებ? გასწი და შეიტყე! მაღლე პასუხი...

ჩასუქებული ვაჟკაცი, რომელსაც ყალბ-

\* რესტორანი თეატრის ახლოს.

ბგეს ეძახოდნენ, მარდათ გაუღდა გზას „ბახუსისასა“.

დაგვიანდა!

ბრძენი კაცი კვლავ შეიშმუშნა.

— რა უბედურებაა, სთქვა მან, ლამის წერწყვი გამიშრეს! აბა შენ გასწი და წამოაგორე ტიკი იგი!

ჯგუფიდან გამოვიდა შუატანის კაცი, მის გაპარსულ სახეს და ამაყად ამართულ შუბლს ჩაბიჯინებულის თვალებით ეტყობოდა, რომ წითელ ნუნუას თავს ევლებოდა.

— ამ წუთას, ხელმწიფეო ჩემო, შენს ფერხით მოვაგორებ სანატრელ ტიკსა! და მძიმე ნაბიჯით გაუღდა „ბახუსის“ გზას ის, ვისაც პლატონ ფილოსოფოსს ეძახოდნენ.

გვიდა დრო და ჟამი!

შეწუხდა ბრძენი, დრამატული ხელოვნების მეთაური.

— ეი, შენ! ფიცხო, დაუღვრომელო, უღვაშებ აბუცილო,—მიუბრუნდა იგი იქვე მდგომ მუცელ გამობერილ, მოუსვენარ ყმაწვილს,—გასწი, მონახე თანამშრომელი ჩემნი! შენ ასეთ საქმეში უფრო დახელოვნებული ხარ!

— Сию секунду, Ваше С—тво! Къ стопамъ нашимъ будетъ доставленъ бурдюкъ полный жизненной влагою!

და მაზურკისებური ფეხების ტყაპუნით გაშა კაცი ესე, რომელსაც სულელიორ „პეტიუ ვამ ზავიუტ-ს“ ეძახოდნენ.

დაგვიანდა ამასაც!

ებლა კი თვით ბრძენი კაცი, მეთაური დრამატულ ხელოვნებისა, მათ გამოუღდა და რა შევიდა „ბახუსსა“ შინა სასიამოვნო სურათი წარმოუღდა თვალმზას მისსა... ჯგუფი ესე მოყუდებოდა ტიკსა უზარ-მაზარსა და ეწაფვოდა ცრემლსა პილატისასა.

ხოლო თვით ბრძენი კი, რომელსაც შალვა რეისიორს ეძახოდნენ, მეორე მხარედან მოეშუდა ტიკის ბოლოს და მოსწუწნა იგი!

— ოჰ, რა საუცხოვო, დიდებული სიზნარი იყო!—წამოიძნა ბრძენმა, როდესაც სიმშობილ-წყურვლით შეწუხებულმა და უპაპიროზით მყოფმა დილით თავის ცოვ ოთახში გამოიღვიძა და გაიზნორა!..

ამბა!

ვანო ბარველი

# საგანუფაკტურო ამხანაგოგა


## ნაზარკოვისა და ოსიიკისა

ერევნის მოედანზე, ქალაქის გამგეობის დარბაზის ქვეშ.

ყოველდღე მოსდით აბრაშუმის, მატელის, ტილოს \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ და ბამბეულის დიდძალი საქანელი

უკანასკნელი მონდისა

ამხანაგობა მატევემულ ხაზადლოების ყურადღებას მიაქცევს საქანლის დანსებას და დემედის არ  
უფიელ სიაფეზე  სუიდა შევუვაქრებ\_ად 25—6

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისთვის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

### „ჩვენი გაზეთი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წინად გამოდიოდა. გაზეთი წლიურათელირება თბილისში და თბილის გარეთ 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., საზღვარგარეთ 14 მან. წლით, ნახევარი წლით 7 მან., ხელის მოწერა მიიღება თბილისში „მომავლი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და კიათურში რკინის გზის შუაფეხში, ქუთაისში ის კვიცარიძესთან, ჩოხატარუში ს. თავართქილაძესთან — წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში — მ. თალაქვაძესთან, ხილისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში — პ. ურუშაძესთან.

ფულის გამოსაზვანი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калитрату Кош. Цуладзе.

### ქართული თეატრი

ვეერას 16 მაისს გაიმართება

## კონსერტი

კ. ფოცხვერაშვილისა

შესრულებულ იქნება:

1. ქართული ეროვნული სიმღერები ხოროსა და ორკესტრისათვის შემუშავებული კ. ფოცხვერაშვილის მიერ.

1. „ბრძოლა ამირანისა ბაყბაყ დევთან“ სიმფონიური ცოცხალ სურათებიანი ესკიზი მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა.

2. „აშენდა საქართველო“ სცენები ქართულ სტუდენტთა ცხოვრებიდან კ. ფოცხვერაშვილისა.

წარმოდგენის დაწყების წინ ორკესტრი შესრულებს დავლურსა და ლეკურს ბალანჩივაძის ოპერიდან (თამარ ცბიერი) მეორე ანტრაქტში შესრულებულ იქნება ქართული მარში იპოლიტოვიანოვის სიუიტიდან „ივერია“ სიმფონიური ესკიზის ცოცხალ სურათებს დასდგამს მხატვარი ვ. ზომერი.

ხოროში მონაწილეობას იღებს 100 ქალი და კაცი ორკესტრში 40 კაცი.

ლოტბარი კ. ფოცხვერაშვილი.